საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N726 2024 წლის 24 მაისი ქ. თბილისი

2024 წლის განმავლობაში სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსათვის წარჩინებით კურსდამთავრებული მოსწავლეების დასაჯილდოებლად საჭირო მედლებისა და მათთვის განკუთვნილი ყუთების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის შესაბამისად, 2024 წლის განმავლობაში სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსათვის წარჩინებით კურსდამთავრებული მოსწავლეების დასაჯილდოებლად საჭირო მედლებისა და მათთვის განკუთვნილი ყუთების სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით ჩატარდეს კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ი.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 19^1 მუხლის შესაბამისად, სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო

ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს საჭიროებისათვის მედლებისა და მათთვის განკუთვნილი ყუთების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებულ ტენდერ(ებ)ში სატენდერო წინადადების წარდგენისათვის საფასური განისაზღვროს 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კონსოლიდირებული ტენდერი შეწყდება ან დასრულდება უარყოფითი შედეგით, აღნიშნულიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის განმავლობაში იმავე შესყიდვის ობიექტზე განმეორებით გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში, შეწყვეტილ ან უარყოფითი შედეგით დასრულებულ კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტისთვის სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური განისაზღვროს 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

3. სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ უზრუნველყოს წარჩინებით კურსდამთავრებული მოსწავლეების დასაჯილდოებლად საჭირო მედლებისა და მათთვის განკუთვნილი ყუთების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის ჩატარებისათვის კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი, ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება.

4. წარჩინებით კურსდამთავრებული მოსწავლეების დასაჯილდოებლად საჭირო მედლებისა და მათთვის განკუთვნილი ყუთების სახელმწიფო შესყიდვის 2024 წლის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის ჩატარებისა და მათი შემდგომი ადმინისტრირების მიზნით, შეიქმნას 2024 წლის განმავლობაში სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსათვის წარჩინებით კურსდამთავრებული მოსწავლეების დასაჯილდოებლად საჭირო მედლებისა და მათთვის განკუთვნილი ყუთების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისია, დამტკიცდეს მისი თანდართული შემადგენლობა და საქმიანობის წესი.

5. საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, ამ განკარგულების ფარგლებში გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის მოქმედების ვადა, ამ

განკარგულების მე-4 პუნქტით განსაზღვრული სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, გაგრძელდეს წარჩინებით კურსდამთავრებული მოსწავლეების დასაჯილდოებლად საჭირო მედლებისა და მათთვის განკუთვნილი ყუთების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ახალი კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის გამოცხადებამდე ან/და გამარჯვებულ პრეტენდენტ(ებ)თან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმების პროცედურების დასრულებამდე.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადგილსამყოფელი * ტბილისი
№61

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2024 წლის 24 მარტს
№ 726 განკარგულებით

2024 წლის განმავლობაში სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსათვის წარჩინებით კურსდამთავრებული მოსწავლეების დასაჯილდოებლად საჭირო მედლებისა და მათთვის განკუთვნილი ყუთების კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის შემადგენლობა და საქმიანობის წესი

1. 2024 წლის განმავლობაში სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსათვის წარჩინებით კურსდამთავრებული მოსწავლეების დასაჯილდოებლად საჭირო მედლებისა და მათთვის განკუთვნილი ყუთების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისია (შემდგომში – სატენდერო კომისია) შექმნილია წარჩინებით კურსდამთავრებული მოსწავლეების დასაჯილდოებლად საჭირო მედლებისა და მათთვის განკუთვნილი ყუთების კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის ჩატარებისა და მათი შემდგომი ადმინისტრირების მიზნით.

2. ბაზრის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებებიდან და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, სატენდერო კომისია უფლებამოსილია, ამ განკარგულების პირველ პუნქტში განსაზღვრული ვადის განმავლობაში ჩაატაროს ერთი ან რამდენიმე კონსოლიდირებული ტენდერი.

3. სატენდერო კომისიის შემადგენლობაში შედიან:

სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე – სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე – სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე – სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე – სატენდერო კომისიის წევრი;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე – სატენდერო კომისიის წევრი;

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე – სატენდერო კომისიის წევრი;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე – სატენდერო კომისიის წევრი;

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე – სატენდერო კომისიის წევრი;

სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარე – სატენდერო კომისიის წევრი.

4. დაევალოთ ამ დანართის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ორგანოებს, სატენდერო კომისიის შემადგენლობაში შემავალი წევრები წერილობით წარუდგინონ (მათ შორის, ცვლილების შემთხვევაში) სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.

5. ორგანიზაციული და ტექნიკური ტიპის ან/და ხელშეკრულების შესრულების პერიოდში მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ საჭიროებენ სატენდერო კომისიის სხდომის მოწვევას, კომისიის მიერ გადაწყვეტილება შესაძლებელია, მიღებულ იქნეს კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის ctd.spa.ge სისტემის ან medal2024@spa.gov.ge ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. აღნიშნული

საშუალებებით გამოხატული პოზიცია ან/და მიღებული გადაწყვეტილებები წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტებს.